ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**g-97. 97231642**

თარიღი:**13/06/2023**

თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის - 2023 წლის ბიუჯეტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის გადანაწილების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ,, 8 “ ივნისის N 96-962315915 ბრძანების შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს მოახდინოს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხის გადანაწილებაზე შემდეგის მიხედვით:

ა) 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან (კოდი 31.1) 60000 (სამოციათასი) ლარი, გადატანილი იქნას მიწის გაუმჯობესების მუხლში (კოდი 31.1.1.4) .

ბ) 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან (კოდი 31.1) 75000 (სამოცდათხუთმეტიათასი) ლარი, გადატანილი იქნას კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსების მუხლში (კოდი 02.04.02).

გ) 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან (კოდი 31.1) 20000 (ოციათასი) ლარი, გადატანილი იქნას საგზაო ინფრასტრუქტურის (გზები და ხიდები) მშენებლობის მუხლში (კოდი 02.01.01).

მუხლი 2. განკარგულება აღსასრულებლად გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი